16/12/2024

MES 8 24 0001617750

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.12.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 15:42 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ქეთევან გილაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - დებულება) 28^5-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ქეთევან გილაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ერეკლე ასტახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **ირმა შიოშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

6. **ირაკლი კორძაია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ნატრიაშვილი** - გერმანული საკონსულტაციო კომპანიის - PE Consult GmbH პროფესიული განათლების პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი;
8. **ჯონი ბოჭორიშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლის დირექტორი;
9. **თეონა თიგიშვილი** - საქართველო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის გეოგრაფიის ექსპერტი;
10. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდეგში - აკრედიტაციის საბჭოს) წევრები:
თამარ ლომინაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე;
გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი - აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

სხდომაზე დამსწრე პირები:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**მარიამ ბერიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
1. ლევან გურგენიძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, "პოლიტიკის მენეჯმენტის" პროგრამის ხელმძღვანელი
2. სოფიო მშვიდობაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა (11 ნოემბრის საბჭოზე გადადებული საკითხი).

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- √ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა (11 ნოემბრის საბჭოზე გადადებული საკითხი).

საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება

- √ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისა და სააპელაციო საბჭოს წევრების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტება გააკეთა სააპელაციო საბჭოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოსული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო პირველად ჯერ უსმენდა აკრედიტაციის საბჭოს, ხოლო შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელს. ბოლოს კი საბჭოს წევრები დასვამდნენ შეკითხვებს. მისი თქმით, ამის შედეგად სააპელაციო საბჭო დახურულ სივრცეში მიიღებდა გადაწყვეტილებას: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ან ამ საკითხის ხელახალი განხილვისთვის უკან დაბრუნების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მათი პოზიცია და მოსაზრება.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ლომინაძე, მიესალმა ზეპირ მოსმენაზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოსული ადმინისტრაციული საჩივარი ეხებოდა არა საკითხის განხილვის ფორმალურ მხარეს, არამედ აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებულ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც „პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია არ მიენიჭა. უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ საჩივარში 4.1 კომპონენტთა დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია იყო აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციის იდენტური. თამარ ლომინაძის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს უფრო პროაქტიური მიდგომა შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორების გონივრული შერჩევისათვის და გაზარდოს პროფესორთა კადრი მოწვეულ ლექტორებთან მიმართებაში." აღნიშნულ რეკომენდაციაში ექსპერტები საუბრობენ მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესებაზე. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელია დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული პროფესორების გაზრდა უნივერსიტეტში. ეს არის ორი აბსოლუტურად განსხვავებული მოთხოვნა პროგრამის მდგრადობის მიმართ. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭო არ იზიარებს უნივერსიტეტის იმ მოსაზრებას, რომ ექსპერტების მიერ გაცემული და საბჭოს მიერ დამატებული რეკომენდაცია ერთმანეთის იდენტურია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ 4.2 კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „ანალოგიურად, პროგრამის მომავლისათვის მიზანშეწონილია, რომ მაგისტრატურის სტუდენტებისა და მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისათვის წარმოდგენილნი იყვნენ სამეცნიერო კვლევებში ფართო გამოცდილების მქონე ცნობილი პროფესორები." ასევე აკრედიტაციის საბჭომ პროგრამის მიმართ დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: „პროგრამის განხორციელებისათვის რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისათვის წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი". თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ ზეპირ მოსმენაზე, როდესაც აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიერ დაისვა კითხვები, დაწესებულებისაგან გაჟღერდა მოსაზრება, რომ ხელმძღვანელი შეიძლება ყოფილიყო ბაკალავრის ხარისხის მქონე ადამიანი, რომელსაც ექნებოდა ფართო პრაქტიკული გამოცდილება ამა თუ იმ მიმართულებით. ასევე აღნიშნა ისიც, რომ ეს ადამიანები იქნებოდნენ თანახელმძღვანელები სხვა უფრო მაღალი ხარისხის მქონე პერსონალთან ერთად. შესაბამისად, აქედან გამომდინარე აკრედიტაციის

საბჭომ დაამატა რეკომენდაცია, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანი. თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ 1.4 კომპონენტთა მიმართებით აკრედიტაციის საბჭომ დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან“. მისი თქმით, აქ საუბარი იყო კონცენტრაციაში გამოყოფილ სავალდებულო კრედიტების რაოდენობაზე. როგორც ცნობილია, მინისტრის ბრძანება მოითხოვს, რომ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სავალდებულო კომპონენტები წარმოდგენილი იყოს მინიმუმ 50%, მაშინ, როდესაც პროგრამაში კრედიტები განსაზღვრული იყო 30%-ის რაოდენობით. შესაბამისად, ეს იყო საფუძველი იმისა, თუ რატომ გაიცა აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებითი რეკომენდაცია პროგრამის მიმართ. ამავე კომპონენტთან მიმართებით აკრედიტაციის საბჭომ პროგრამის მიმართ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს კვლევის მეთოდები“. თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აღნიშნული რეკომენდაცია არ მიაჩნია დასაბუთებული. მისი თქმით, სხდომის ოქმში ნათლად ჩანს, რომ საბჭოს მიმდინარეობისას აკრედიტაციის საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ არ ისწავლება სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“, ვინაიდან ეს არის სამაგისტრო საფეხური და საუბარია კვლევითი უნარების განვითარებაზე. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭო უნივერსიტეტის მხრიდან ასეთ პრეტენზიას ვერ მიიღებს და მიაჩნია, რომ საბჭოს წევრების მიერ ზეპირი მოსმენის დროს ეს საკითხი განხილული იყო.
აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, დავით გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ თითოეულ სპეციალობას აქვს კონკრეტული მატრიცა, კერძოდ, საგნები და მიმართულებები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს „პოლიტიკის მეცნიერებებში“. მაგალითად, „საჯარო პოლიტიკა“, „შედარებითი პოლიტიკა“ და ა.შ. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს შენიშვნები განპირობებული იყო იმით, რომ საბჭომ ვერ დაინახა აღნიშნული საკითხის დასაბუთება დაწესებულების მხრიდან.
აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც საბჭოს მიერ იყო გაცემული არ წარმოადგენდა იმ რეკომენდაციების იდენტურ რეკომენდაციებს, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა. პროგრამა კლასიფიკატორთან წინააღმდეგობაში იყო. ასევე ადამიანური რესურსების ნაწილში არ იყო დასაბუთებული, რომ პროგრამა იქნებოდა მდგრადი. იმ დროისათვის პროგრამას, როდესაც საქმის წარმოება მიმდინარეობდა, ორი დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ჰყავდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მხარეებს მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა ჰქონდათ. შესაბამისად, რეკომენდაციებში მხოლოდ ის იყო ასახული, რაც ზეპირ მოსმენაზე იყო გაჟღერებული ექსპერტების, დაწესებულების თუ საბჭოს წევრების მიერ დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, საბჭოს წევრებს მიმართა, სურდათ თუ არა რაიმეს დაზუსტება აკრედიტაციის საბჭოსთან. სააპელაციო საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამაზუსტებელი შეკითხვები. გოდერძი ბუჩაშვილმა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა დაეფიქსირებინა მათი პოზიცია და მოსაზრება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, ლევან გურგენიძე, მიესალმა სააპელაციო საბჭოს წევრებს და 4.1 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებული რეკომენდაცია იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის შინაარსობრივად იდენტური რეკომენდაცია. მისი თქმით, ორივე რეკომენდაცია მოიაზრებდა ადამიანური რესურსების განვითარებას უნივერსიტეტში. შეიძლება ფორმულირება არ იყო იდენტური, თუმცა ორივე შინაარსობრივად გულისხმობდა დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორებით ადამიანური რესურსების განვითარებას. 4.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებული რეკომენდაცია იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ

გაცემული რეკომენდაციის შინაარსობრივად იდენტური რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ადამიანური რესურსების განვითარებას, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვას ერთ კონკრეტულ კომპონენტთან მიმართებაში, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კუთხით. ორივე რეკომენდაცია გულისხმობდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით გაძლიერებას. დაწესებულებამ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ამ კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი უყურებდა როგორც განვითარების გზას მაშინ, როდესაც კვალიფიციურმა ექსპერტებმა ამ კომპონენტში უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად მიიჩნიეს, რომ ინსტიტუციას ჰქონდა ყველანაირი რესურსი იმისათვის, რომ მიეღწია სამოქმედო გეგმით დასახული ყველა მიზნისთვის, ასევე, ამ მიმართულებით გაეგრძელებინა მუშაობა და გაეზარდა დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა უნივერსიტეტში, როგორც ამ პროგრამასთან, ისე ზოგადად მოქმედ პროგრამებთან დაკავშირებით. ლევან გურგენიძის თქმით, დაწესებულებას სჭირდება ისეთი დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნება გამოცდილება იმ კომპონენტებში, რომლებზეც ორიენტირებულია ეს პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამჟამად აღარ არის მიუღწეველი, რადგან უნივერსიტეტმა დაამატა როგორც დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი, ისე დოქტორანტი, რომელიც ჩართული იქნება ამ პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამის განხორციელებაში. შესაბამისად, გაუგებარია აკრედიტაციის საბჭოს ისეთი მიდგომა, რომ დაწესებულება ვერ შეძლებდა იმ კომპონენტების დაძლევას, რომლებიც რეკომენდაციების სახით იყო წარმოდგენილი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტს კვალიფიციურ ექსპერტებთან პოზიციონირებისას წარმოდგენილი ჰყავდა ორი საერთაშორისო ამერიკელი პარტნიორი „რიჩმონდის უნივერსიტეტისა“ და „ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის“ სახით, რომლებიც მხარდაჭერას გამოთქვამდნენ, რომ დაეხმარებოდნენ უნივერსიტეტის ყველანაირი გამოწვევის დაძლევაში. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე მთავარი მოპასუხე ის იყო, რომელსაც არც ერთხელ არ უთქვამს იმის შესახებ, რომ ბაკალავრის მქონე აკადემიური პერსონალი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. ბაკალავრის მქონე აკადემიური პერსონალი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თანახელმძღვანელი და არა ხელმძღვანელი. საქართველოს კანონმდებლობა დაშვებულად მიიჩნევს იმას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკადემიურ პოზიციაზე აყვანილი იქნას პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანები. შესაბამისად, ამ მიმართულებით გაამახვილა უნივერსიტეტმა ყურადღება. ლევან გურგენიძემ დაამატა, რომ დაწესებულებას განცხადებაში ჩამოწერილი ჰქონდა რა ტიპის აკადემიური პერსონალი ჰყავთ შერჩეული. მან აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის გამოცდილება საზოგადოებისთვის ძალიან მნიშნელოვანი იქნებოდა, რადგან ეს ადამიანები რამდენჯერაც საქართველოში იყვნენ და მათ უნივერსიტეტს სტუმრობდნენ, დაწესებულებამ ჩაატარა სემინარები, ვორქშოფები, პრეზენტაციები და ისინი ფართო საზოგადოებას უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას, შესაბამისად, ამ ადამიანების ჩამოყვანა მათი მთავარი ამოცანაა, რათა წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში. 1.4 კომპონენტთა დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მარტივი გადასამოწმებელი იყო კონცენტრაციის არსებობა პროგრამაში. უნივერსიტეტს „პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში არ აქვს კონცენტრაცია. დაწესებულებას აქვს დაჯგუფებული საგნები, რომლებიც არ წარმოადგენენ კონცენტრაციებს. კვალიფიციური ექსპერტების თქმით დაჯგუფებული საგნები სტუდენტს ხელს არ უშლიდა სწავლის შედეგზე გასვლაში. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის გაუგებარია ერთი მხრივ ის თუ რატომ მიიჩნია აკრედიტაციის საბჭომ დაჯგუფებული საგნები კონცენტრაციად და მეორე მხრივ, ის, თუ რატომ ვერ გაიყვანდა ასეთი ტიპის დაჯგუფება საგნების სტუდენტს სწავლის შედეგზე. მოცემულ შემთხვევაში უნივერსიტეტი ორიენტირებას ახდენს მხოლოდ იმ კომპონენტებზე, რომლებიც პროგრამის სიცოცხლისუნარიანობას აყენებს ზიანს. დაწესებულებას ყველანაირი

მზაობა აქვს პროგრამის განვითარებაზე მუშაობის. შესაბამისად, არ არსებობს ისეთი რეკომენდაცია, რომელსაც უნივერსიტეტი ვერ დაძლევს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო მშვიდობაძემ აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ლევან გურგენიძის მოსაზრება სრულად გაიზიარა და კონცენტრაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაში განსაზღვრული არ არის კონცენტრაციები. პროგრამაში არსებობს სპეციალიზებულად დაჯგუფებული საგნები. ექსპერტებმა დაადასტურეს ის, რომ აღნიშნული მდგომარეობა ეჭვქვეშ არ აყენებდა სტუდენტის სწავლის შედეგზე გასვლას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია ოქმში. მისი თქმით, დაწესებულებას არსებულ პროგრამაზე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ პროგრამა ფუნქციონირებაში ყოფილიყო 2025 წლის შემოდგომის სემესტრიდან. შესაბამისად, ეს პერიოდი დაწესებულებას მისცემდა დროს, როგორც ექსპერტების, ისე საბჭოს მიერ გაცემული გარკვეული რეკომენდაციების შესასრულებლად. შესაბამისად, ერთი წელი საკმარისია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულოს.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, განმარტება გააკეთა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო საბჭო მსჯელობდა მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე. შესაბამისად, ის შეზღუდული იყო დაწესებულების სამომავლო გეგმებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწვეტილების შემდეგ განხორციელებული ქმედებების გაზიარებაში. გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში მხარეებისთვის დაესვათ კითხვები.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას კონცენტრაციებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ოქმში ეწერა, რომ ექსპერტმა დასვა შეკითხვა კონცენტრაციებთან მიმართებით, რომელზეც უნივერსიტეტმა უპასუხა, რომ 30 კრედიტის ოდენობით იყო გადანაწილებული პროგრამაში. მას აინტერესებდა, იყო თუ არა საოქმო ჩანაწერში აღნიშნული საკითხი არასწორად დაფიქსირებული.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში იყო არა კონცენტრაციები, არამედ საგნობრივი დაჯგუფება წარმოდგენილი, რომელსაც 30 კრედიტი ეთმობოდა.
საბჭოს წევრმა, ირმა შიოშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ დარწმუნებული იყო უნივერსიტეტში არსებობდა „კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ შესახებ დოკუმენტი. მას აინტერესებდა, ამ დოკუმენტის მიხედვით როგორ იყო წარმოების პროცესში ბალანსი დაცული აფილირებულ-აკადემიურ და სტუდენტებს შორის ან აკადემიურ-აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის.
ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის დროს ორ სტუდენტზე მოდიოდა ერთი აკადემიური პერსონალი. ასევე პროგრამაში 50/50-ზე იყო წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში. დღეს ეს მდგომარეობა შეიცვალა. უნივერსიტეტმა დაამატა ორი დოქტორის ხარისხის მქონე და ორი დოქტორის ხარისხის კანდიდატი აკადემიური პერსონალის სახით. შესაბამისად, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი აქტიურად აგრძელებს რეკრუტირებას.
საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულება. მას აინტერესებდა, აკრედიტაციის საბჭოზე იყო თუ არა გაცემული რეკომენდაცია აფილირებულ-აკადემიურ და სტუდენტებს შორის ან აკადემიურ-აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობის გაზრდის შესახებ.
ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის განვითარების კუთხით დაწესებულებამ მიიღო ოთხი რეკომენდაცია. ორი რეკომენდაცია ექსპერტების, ხოლო ორი რეკომენდაცია აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაიცა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულება. მას აინტერესებდა, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომ გაეცა ექსპერტთა ჯგუფს, მაშინ შეძლებდა თუ არა უნივერსიტეტი ამ რეკომენდაციების შესრულებას და შემდეგ აკრედიტაციის საბჭოსთვის რეკომენდაციების შესრულების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას.
ლევან გურგენიძემ უპასუხა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებამდე უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. ამ პერიოდში მოხდა იმ ადამიანების იდენტიფიკაცია, რომლებიც დაემატნენ პროგრამაზე. აკრედიტაციის საბჭოზე რომ დასმული ყოფილიყო კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად შეიცვალა ამ საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობა, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი შესაბამის პასუხს გასცემდა.
სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ვინ იყო პროგრამის ხელმძღვანელი.
ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამას ჰყავდა ორი ხელმძღვანელი. ერთი თავად ლევან გურგენიძე, ხოლო მეორე გიორგი ოდოშაშვილი, რომელიც იყო პოლიტიკის მეცნიერებების დარგის ექსპერტი და წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ვიზიტის დროს. მისი თქმით, გიორგი ოდოშაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ამ პროგრამის შექმნაში. ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ექსპერტებთანაც იმუშავეს ამ პროგრამის განვითარებაზე. მან დაამატა, რომ არც ჯორჯ ვაშინგტონის და არც რიჩმონდის უნივერსიტეტებში ჩართვა არ ყოფილა მარტივი პროცესი. გარდა ამისა, მათი აზრით, პროფესიონალი პოლიტიკური მენეჯერები ჩვენს საზოგადოებას კიდევ უფრო მეტად წაადგებოდა.
გოდერძი ბუჩაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ორი აკადემიური აფილირებული პერსონალი საკმარისი იქნებოდა თუ არა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ თუ მხოლოდ ორი აფილირებული აკადემიური პერსონალი იქნება პროგრამის განმახორციელებელი, რა თქმა უნდა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნება. მისი თქმით, დაწესებულებას პროგრამაში ისეთი განმახორციელებელი პირები ჰყავს ჩართული, რომლებსაც პრაქტიკული გამოცდილება გააჩნიათ. ასეთი ადამიანების აფილირებულ პროფესორებად დანიშვნა უნივერსიტეტში შეუძლებელია, რადგან ასეთ ადამიანებს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი გააჩნიათ. შესაბამისად, იმისთვის, რომ მაქსიმალურად წარმოეჩინა დაწესებულებას ასეთი ადამიანები, მათ მოწვეული სტატუსი მიენიჭათ.
გოდერძი ბუჩაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ბაკალავრის ხარისხის მქონე ადამიანები მოწვეული სტატუსით რა აქტივობებს ახორციელებდნენ პროგრამაში.
ლევან გურგენიძემ უპასუხა, რომ მოწვეული სტატუსით მქონე ადამიანები კითხულობდნენ გარკვეულ საგნებს. მაგალითად, არის ადამიანი, რომელსაც „ბრექსიტის“ კამპანიაში ინიციატივა „Leave.eu“-ს ხელმძღვანელობდა.
საბჭოს წევრმა, ირაკლი კორძაიამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას კლასიფიკატორებთან დაკავშირებით. მისი თქმით, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით ნებისმიერი საგნებისა და კურსების დაჯგუფება გულისხმობს კონცენტრაციას. უნივერსიტეტს სასწავლო გეგმაში უწერია სიტყვა „სპეციალობა“. მას აინტერესებდა, რატომ არ იყენებდა უნივერსიტეტი პროგრამის სტრუქტურაში კონცენტრაციას, მაშინ, როდესაც სწავლის სფეროს კლასიფიკატორი ამას ითვალისწინებდა.
ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიზანი არ ყოფილა პროგრამაში კონცენტრაციები არსებობის. სწავლის შედეგები არ არის განსაზღვრული ამ მიმართულებით. ეს არის საგნების დაჯგუფება, რომელიც ეფექტურად ემსახურება იმ უნარების გადაცემას სტუდენტისთვის, რა უნარებიც მას აინტერესებს.

სოფო მშვიდობაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით უნივერსიტეტს არ ჰქონია იმის განზრახვა, რომ პროგრამაში აქცენტი გაეკეთებინა კონცენტრაციებზე.
საბჭოს წევრმა, ირმა შიოშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა უნივერსიტეტი მოცემულ პროგრამაზე.
ლევან გურგენიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება გეგმავდა 20-დან 30-მდე სტუდენტის მიღებას.
აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის მიზანია პროგრამის განვითარება და უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის სტანდარტებთან შესაბამისი პროგრამის შეთავაზება. აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელობს იმ დოკუმენტებით, რომლებიც შემოსული იყო იმ დროისათვის აკრედიტაციის საბჭოზე. მსჯელობენ ექსპერტთა დასკვნის, მის ნარატიულ ნაწილსა და ზეპირ მოსმენაზე გამოთქმული მოსაზრებებით, როგორც ინსტიტუციის, ასევე აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან. ამრიგად, აკრედიტაციის საბჭო წარმატებას უსურვებს და მიესალმება ყველა იმ პროგრამას, რომელიც მაღალი ხარისხის იქნება და საქართველოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმოქმედებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს, სურდათ თუ არა რაიმეს დამატება.
საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:53
დასრულების დრო: 15:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ გაზიარებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილება "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების უარის თქმის შესახებ.

გადაწყვეტილება:

1. "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის პირველი პუნქტის და 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საბჭო იზიარებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილებას "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უარის თქმის შესახებ.

საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:42 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი